შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა № 87/ს–1

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2014 წლის 23 აპრილის №87ს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

თბილისი „...28...." „..ნოემბერი....." 2014წ.

ერთის მხრივ, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინა მესხის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ეკომედი"- („მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის დოდო კაჭარავას სახით, მხარეთა შორის 2014 წლის 23 აპრილს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №87/ს ხელშეკრულების მე–10 პუნქტის 10.3. ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანს წარმოადგენს, მხარეთა შორის 2014 წლის 23 აპრილს გაფორმებული 87/ს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა.

1.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2014 წლის 23 აპრილის #87/ს ხელშეკრულების მეექვსე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1

6.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2 ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად, ხელშეკრულების 5.2. პუნქტში მითითებულ დოკუმენტებისა და 15.1. პუნქტში აღნიშნული პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

6.3 შემსყიდველი უზრუნველყოფს გაწეული მომსახურების დაფინანსებას ხელშეკრულების 6.2. პუნქტში აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.4. შემსყიდველი განახორციელებს წინასწარ ანგარიშსწორებას 2014 წლის დეკემბრის თვეში გაწეული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორების მიზნით მიმწოდებლის მიერ 2014 წლის 5 დეკემბრამდე წარმოდგენილი დეკემბრის თვეში გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისი წინასწარი ანგარიშწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის (რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას) საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ გარანტიის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

6.5. იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდება, რომ გაწეული მომსახურების ღირებულება ნაკლებია წინასწარ, ავანსის სახით გადახდილ თანხაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტს) სხვაობით გათვალისწინებული თანხის დაბრუნებაზე.

2. 2014 წლის 23 აპრილს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №87/ს ხელშეკრულების ის პუნქტები რომლებსაც ეს შეთანხმება არ შეხებია, რჩება უცვლელად.

3. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2014 წლის 23 აპრილს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული №87/ს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

5.შეთანხმება შედგენილია 4 (ოთხი) ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ხოლო სამი – „შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ" ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"	შპს „ეკომედი"
ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა	ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ.#47
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს „თიბისი ბანკი
კოდი # TRESGE22	კოდი № TBCBGE22
ა/ა # GE24NB0330100200165022	ა/ა № GE23TB1852036020100001
ს/კ # 205169592	ს/კ №202455093
მარინა მესხი	დოდო კაჭარავა
დირექტორი	დირექტორი